

მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრების თანამედროვე
მდგომარეობა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში
გიორგი შეყლაშვილი



სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ბუხნიკაშვილი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გ.შეყლაშვილი (06/08/2018)

სარჩევი

განაცხადი.....	2
სარჩევი	3
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
კვლევის მნიშვნელობა	5
საკვლევი ტერიტორია	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
მასალა და მეთოდები	7
საკვლევი უბნების აღწერა.....	11
უბანი 1:.....	11
უბანი 2:.....	12
უბანი 3:.....	13
უბანი 4:.....	14
უბანი 5:.....	15
შედეგები	16
კვლევისას დაფიქსირებული სახეობები	16
კურდღელი	16
მგელი.....	17
ტურა	18
მელა.....	20
კლდის კვერნა.....	20
დედოფალა	21
მაჩვი	22
ტყის კატა.....	22
შველი.....	23
განხილვა	27
დასკვნა	28
სამადლობელი.....	30
გამოყენებული ლიტერატურა	30

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილზე მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრების თანამდეროვე სახეობრივი მრავალფეროვნება, შეგვედარებინა წარსულთან და დაგვედგინა მათზე მოქმედი ფაქტორები.

კვლევამ აჩვენა, რომ თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილზე მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრების სახეობრივი მრავალფეროვნება შემცირებულია, ასევე ზოგიერთი დაფიქსირებული სახეობა შესაძლოა საკვლევ ტერიტორიას იყენებდეს წლის გარკვეულ პერიოდში. გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც ახდენენ პირდაპირ თუ ირიბ გავლენას სახეობებზე.